რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მხარდაჭერით თურქეთში გაიხსნა ბავშვთა ბანაკი „პილიგრიმი“

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 25.08.2025. 15-25 აგვისტოს, თურქეთში, ეგეოსის ზღვის სანაპიროზე, ქალაქ გეიკლის შემოგარენში წარმატებით ჩატარდა ბავშვთა დასვენება ბანაკ „პილიგრიმში“, რომლის ორგანიზებაც განახორციელა იზმირში რუსული ენისა და კულტურის შესწავლის ასოციაციამ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისა და ქრისტიანული კულტურისა და მემკვიდრეობის მხარდაჭერის ფონდის დახმარებით.

2025 წელს პროექტში მონაწილეობა 60 ბიჭმა და გოგონამ მიიღო. ბავშვები სწავლობდნენ რუსულ ენასა და კულტურას, მართლმადიდებლური სარწმუნოების საფუძვლებს, გადიოდნენ ზოგად ფიზიკურ მომზადებას, ისწავლეს პირველადი სამეციდინო დახმარების გაწევა, ივარჯიშეს მშვილდოსნობაში, შუბის სროლაში, სპორტულ ორიენტაციაში, მონაწილეობა მიიღეს მინი-ლაშქრობებში, შეიძინეს თავდაცვის უნარები. ბანაკში ტრადიციულად მუშაობდა თეატრალური სახელოსნო, სადაც ბავშვები ეცნობოდნენ ორატორული ხელოვნებისა და სამსახიობო ოსტატობის საფუძვლებს. წელს ცვლის მონაწილეებმა პირველად მოამზადეს და ჩაატარეს მევჯლისი.

ბანაკში დამსვენებლებს შორის იყვნენ არა მხოლოდ თურქეთში მცხოვრები თანამემამულეების შვილები, არამედ ასევე თურქული ოჯახების ბავშვებიც. „პილიგრიმის“ მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს აგეთვე ბავშვთა ხატვის – „აღდგომის სასწაულის“ – XII კონკურსის გამარჯვებულებმა.

23 აგვისტოს, ბანაკის ტერიტორიაზე საღმრთო ლიტურგია აღავლინა მღვდელმა გიორგი სერგეევმა, რომელიც თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოსკოვის საპატრიარქოს მორწმუნეების სულიერ ზრუნვაზე არის პასუხისმგებელი. ბავშვები და პედაგოგები ეზიარნენ ქრისტეს წმინდა საიდუმლოს. წირვის შემდეგ მღვდელმა შეხვედრა გამართა ყმაწვილ „პილიგრიმელებთან“ და უპასუხა მათ მრავალრიცხოვან შეკითხვას.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/93486/